№ 230 11 ნოემბერი, შაბათი 1866—1878 11 ნოემბერი, შაბათი № 230

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უყველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: წვრილი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფრით—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს ორ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## განცხადება

მიხაილოვის რკინის გზის სასწავლებლის მზრუნველთა რჩევა ამით აცხადებს, რომ ამ ნოემბრის 12-დგან ვიდრე 20-მდინ მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ სასწავლებლის სადგომში (კუკიაში, ვორონცოვის წყლის-პირა ქუჩაზე) იქნება მისაღები ეგზამენები იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიც ზემოხსენებულის შკოლაში შესვლას მოისურვებენ.

წელს გაიხსნება მხოლოდ პირველი (მოსამზადებელი) კლასი.

სასწავლებელში მიიღებიან ყმაწვილები რუსის ქვეშევრდომნი ყველა წოდებისა (აზნაური, გლეხი და სხვ.)

მოსამზადებელს კლასში შესვლის მსურველი უნდა იყოს არა-ნაკლებ 11 (თერთმეტის) წლისა და არა-მომეტებული 17 (ჩვიდმეტის) წლისა. ყმაწვილმა უნდა იცოდეს: სამღვთო წერილიდამ — უმთავრესი ლოცვები, რუსულის ენიდამ — თავისუფლად წერა-კითხა, არითმეთიკიდამ—პირველი ოთხი მოქმედება.

პანსიონერებს სასწავლებელი ჯერ არ მიიღებს.

ფასი სწავლისათვის წელიწადში ერთი თუმანია.

თხოვნა, მიღების თაობაზედ, უბრალო ქაღალდზედ უნდა იყოს დაწერილი სასწავლებლის ზედამხედველის სახელზედ, რომელიც თვი ამ შკოლის სახლებში დგას; ამ თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ყმაწვილის მეტრიკის მოწმობა.

მოკლე ხანში შაგირდებს მიეცემათ ლონის-ძიება სადილი თვითონ სასწავლებელში სჭამონ იაფ ფასად.

(3—3)

## საქართველო

### დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ათონიდამ მოსული მამა ბენედიქტე, რომელზედაც გუშინდელს „დროებაში“ რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი, გამოცხადებია დ. მ. ქაიკასიის ნამესტნიკს და წარუდგენია იმისთვის თავის თხოვნა, რომ ათონის მთაზე მყოფ ქართველ ბერებს (სულ 25 არიანო) მისცეს რუსის მთავრობამ შემწეობა, რომ ბერძნებისაგან დასაკუთრებული ძველი Iვერიის მონასტერი დაებრუნოთ იმათ და აგრეთვე მიეცესთ ამათ, სულ თუ არა, ერთი წილი მაინც იმ ფულისა, რომელიც აქედამ ეგზავნება Iვერიის მონასტერს და რომლითაც ამჟამად მარტო ბერძნის ბერები სარგებლობენო.

დიდ მთავარს პატივის-ცემით მიუღია მამა ბენედიქტე, ყურადღებით მოუსმენია იმის თხოვნა და დაპირებია, რომ ვეცდები ამ თხოვნის შესრულებასაო...

*** თფილისის სამხედრო სასამართლოში არის ამ ჟამად გარჩევა იმ თორმეტი ავაზაკისა, რომელთაგან ცხრას კაცის-კვლა და დაიარაღებული ცარცვა-ავაზაკობა ბრალდებათ და სამს ამ ავაზაკების დაფარვა. ეს მეოთხე დღეა, რაც ამ საქმეს არჩევენ და მოწმების ჩვენების ჩამორთმევაც არ გაუთავებიათ. სულ სამოც-დაათ მოწამეზე მეტია.

გუშინ, 9 ნოემბერს, საღამოს, როცა ეს ავაზაკები სასამართლოდამ დააბრუნეს და ყარაულით მიჰყავდათ მეტეხში, ერთმა ამათთაგანმა ისხლიტა ხიდზე და სანამ ყარაულები გონზე მოვიდოდნენ, ის უკვე მტკვარში გადავარდა. ჯერ არ შეგვიტყვია—ცოცხალი გადარჩა ის, თუ დაიღრჩო..

*** ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. დირექტორმა ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტისა ამ უკანასკნელ დროს ქართული ენის სწავლას მიაქცია ყურადღებაო...

ამბობენ აგრეთვე, რომ უფ. ზახაროვი აპირებს ინსტიტუტში ქართული გალობის სასწავლებლად უფ. მაჭავარიანისაგან შედგენილი ნოტების შემოღებას.. ეს გასაკვირველი და თან სასიამოვნო მოვლენაა.. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორც მუზიკის მცოდნე პირებისაგან გავიგეთ, ეს უფ. მაჭავარიანის ნოტები სრულებით არ ვარგა თურმე, ამ ნოტებით არათუ ქართული, არავითარი ხმები და მოტივები არ იხატება, და ამიტომ ამის საშუალებით ალექსანდროვის ინსტიტუტის ქართველი შაგირდები სახალხო სიმღერებს ვერ ისწავლიან...

*** ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ვისიც რიგია იმის ყურადღება იმ ტრაქტირზე, რომელიც ერთ ვილაცა იმერელს უჭირავს ატამანის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ (სახლის № 8) და რომელიც ნამდვილი სოდომ-გომორი არისო. აქ გროვდება თურმე სხვა-და-სხვა გარყვნილი, გაფუჭებული და ავაზაკი ხალხი; ერთი ვილაც გარყვნილი დედაკაცი არისო და ამასთან ერთად ღვინის სმით, მუზიკით და სიმღერით ატარებენ დროებას და ხშირად დამთვრალ ხალხს ჩხუბი, ყვირილი და ერთი ვაი-უშველებლობა გააქვსო...

*** დიდი ხანია არ გვინახავს ჩვენს ტიპოგრაფიებში ასე სუფთად და შნოიანათ გამოცემული წიგნი, როგორიც გამოუციათ მიხელსონის სტამბაში უ.უ. I. მაჩნაძესა და გ. ჩარკვიანს) თ. რაფ. ერისთვისაგან გადმოთარგმნილი კრილოვის „Iგავ-არაკნი“. მხოლოთ სათაური აუშნოებს წიგნს; დანარჩენი ყველაფერი კარგია: ქაღალდი, სუფთა ბეჭედი, ახალი ასოები და სხვ.

რაიცა შეეხება თვითონ თარგმანს, მომეტებული ნაწილი იგავებისა (სულ 42-ია) ჩინებულის, მსუბუქის და ნამდვილი ქართული ენით არის ნათარგმნი და ჰაზრიც დედნისა ყველგან კარგათ არის ქართულად გადაღებული. ჩვენ წაგვიკითხავს რამდენიმე თარგმანი კრილოვის იგავებისა (მაგ. თ. აკაკი წერეთლის, თ. გრ. ორბელიანის), რომელნიც, მართალია, უფრო მარჯვედ და ცოცხლად არიან ნათარგმნი, ვინემ თ. რაფ. ერისთვისა, მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ესეც ჩინებულ შეძინებას შეადგენს

ჩვენი მწიგნობრობისა და საყმაწვილო ლიტერატურისთვის.

ამბობენ, ეს წიგნი ქართულ თეატრისაგან მოგროვილ ფულებით დაიბეჭდაო. თუ ეს მართალია, გვიკვირს—რატომ გამომცემლები არ აცხადებენ ამას.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქ. ალექსანდრაპოლი, 3 ნოემბერს.** აი ბოლოს გაიღვიძეს აქაურ ბერძნებმაც! არა გჯერათ, რომ არათუ მარტო ამ ალექსანდრაპოლის ბერძნებმა, არამედ რამდენიმე ამ უეზდის ბერძნის სოფლებისამ, მაგალითებრ: ალაკილისისა, ბაიანდურისა და სხვების მცხოვრებმა სრულიად არ იციან თავიანთ ენაზე ლაპარაკი და წერა-კითხვა.

მიზეზად ამისა, როგორც ამბობენ, არის ის, რომ ესენი არიან აზრუმიდგან და ბიუმიშხანიდგან გარდმოსახლებულნი და დასახლებულნი ამ ქალაქში და სოფლებში თითო-ორორ კომლად; და ამ გაფანტვის და სიმცირეობისა გამო, ერთის მხრივ, ხშირ და სამუდამო კავშირისა სომხებთან და თათრებთან, მეორეს მხრით, იძულებულნი ყოფილან დაეტოვათ ზრუნვა წერა-კითხვის და ლაპარაკისა, და ასე უნებურად შეუსწავლიათ წმინდათ ლაპარაკი სომხურ და თათრულ ენებზე.

ხომ აქაური სომხებიც არიან გარდმოსახლებულნი სომხეთიდგან, მაგრამ რადგანაც ესენი მოსულან რიცხვით მრავალნი, დასახლებულან აქ და სხვა და სხვა სოფლებში გუნდ-გუნდათ და იქმნებაც ჰყოლიათ მოთავე თავიანთი ენის დაცვისა, ამისთვის გარდმოსახლებას არ მოუხდენია არავითარი გავლენა არამც თუ მათის ენის დავიწყებაზე, არამედ შეცვლაზედაც, თუმცა ხშირი კავშირით თათრებთან შეუსწავლიათ მათი ენაც.

სომხებს ჰქონდათ აქ წარსულ წლამდისინ ოთხ-კლასიანი სასულიერო ვაჟების სასწავლებელი, რომელიც ომიანობის გამო დაიკეტა, და სახლი ადმინისტრაციამ დანიშნა საავათმყოფოდ აზიის ბრძოლის ველზე დაჭრილთათვის. ამ ჟამად არის ორ-კლასიანი ვაჟების შკოლა და ამ გვარიც ქალებისა. აქ შკოლებში სწავლობენ მრავალნი მათი ყმაწვილები, და, ვეჭობ, რომ დაეარდეს აქ როდისმე ენერგიული ბოვშვების სწავლა.

რამდონიმე ხნის განმავალობაში ცოტათი გამრავლებულან აქაური ბერძნებიც, ცოტაოდენათ შეუსწავლიათ რუსული ენაც აქაურ სამოქალაქო (ძველად უეზდის) სასწავლებელში, და აი ბოლოს კიდეც მოიგონეს თავიანთი „გენეოლოლია“ და შეუდგნენ, ეს ორი სამი წელიწადია, თავიანთ დაკარგულ ენის აღდგენასა: აღმოსჩნდნენ აქაურ ამათ საზოგადოებაში რამდონიმე პირნი, რომელნიც ამ ჟამად იწოდებიან აქაურ პრიხოდის სასულიერო მზრუნველობისა წევრებად. ამ წევრებს, სიტყვით თუ საქმით, ალუძრიათ თავიანთ მოძმეთა შორის სურვილი ვაჟების და ქალების დაბალ-კლასიანი შკოლის გახსნისა, რომელშიდაც ხსენებულ ყმაწვილებმა უნდა მიიღონ სწავლა რუსულ და ბერძნულ ენაზე, ხოლო ყმაწვილ ქალებმა, ამის გარდა, უნდა ისწავლონ ქალური ხელთსაქმობაცა.

განსახორციელებლად ამ სურვილისა ზემოხსენებულ მოთავე პირებს, ნებადართვით ძველ ექსარხოსის, ყოვლად უსამღვდელოესის მესევისა, სამი-ოთხი წლის წინათ, გაუმართავთ წიგნი ხელის მოსაწერად შემწირველთათვის ფულისა, თუ ნივთისა, დროებით, თუ სამუდამოდ. ცოტად, თუ ბევრად მოუპოვიათ სახსარი პირველ შემთხვევაში და 1875 წელში გაუხსნიათ ერთ-კლასიანი ყმაწვილების შკოლა.

მაგრამ ეს შკოლა, საუბედუროდ, ომიანობისა გამო, 1876 წელში დაკეტილა ვიდრე აქამომდე. და აგერ ეხლა, როდესაც დამშვიდდა აქაურობა, და მცხოვრებნი შეუდგნენ ჩვეულებრივ საქმე-ყოფას, ხსენებულ ბერძნებმა კიდევ დაიწყეს მეცადინეობა ქალ-ვაჟების შკოლის დაარსებაზე: დაიწყეს კიდევ ხელის-მოწერა, შეწირვა ფულით, თუ ნივთით. გარდა ამისა საეკკლესიო ფულებიდგან არის 150 მანეთი მუდამ წელიწად გადადებული შკოლის სახლის დასაქირავებლად; წელიწადში არის ჯამაგირად დანიშნული შეწირულ ფულებიდგან მასწავლებელთათვის: ა, ბერძნული ენისა—400 მ. ბ, რუსული ენისა და ხელთსაქმობისა—360 მანეთი.

ამ ჟამად არის შეგროვილი შეწირული ფული 600 მან. გარდა ამისა, არიან შეწირულნი წიგნები, კარტები და წვრილი შკოლის კუთვნილებანი. მწევრპირების გარდა ამ შკოლისთვის შეუწირავს საკმაოდ ზოოლოგიური და ბოტანიკური კარტები და წიგნები, რუსულ ენაზე, საზოგადოებას: „Императорское Вольно-экономическое общество“-ს. ბერძნული ენის მასწავლებლად არის ტრაპიზონიდგან მოწვეული ერთი მცოდნე პირი, ხოლო რუსულისა და ხელთ-საქმობისა არის გამოწერილი ტფილისიდგან მასწავლებელი ქალი, რომელსაც შეუსრულებია კურსი თქვენს წმინდა ნინოს ზავედენიაში და რომელიც დღედღეზე უნდა მოვიდეს აქ.

სწავლა საქალო ბერძნულ შკოლაში დაიწყეს წარსულ თვეში.

რიცხვი მოსწავლეთა ამ ჟამად არის: მდედრობითი სქესისა 26, მამრობითისა 24.

კარგი იქნება და მადლიც, რომ ჩვენც ცოტა რაიმეთი შევეწეოდეთ ამ ღარიბს შკოლას.. ყოველი შეწირული ფული, თუ ნივთი მიიღება ამ ადრესით: Въ г. Александраполь. Въ греческое приходское духовное попечителство. ყოველ ოთხი თვის განმავალობაში იქმნება ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებული სახელი და გვარი შემწირველებისა.

ძალიან დავალიანებული იქმნება აქაუ-

# ფელტონი

## თფილისიდამ ბათუმამდინ *)

(დასასრული)

მეორე დღეს მივიარ-მოვიარე ბათუმი და ისევ ის ნაცნობი იყო, როგორიც ამ ხუთი წლის წინეთ მენახა; მხოლოთ თითო-ოროლა ადგილას ორ ეტაჟიანი სახლები მომატებოდა.

მაგრამ ის სიცოცხლე და მიძრავ-მოძრაობა კი აღარ იყო; აღარც ზღვის პირ თევზებს იჭერდნენ ლაზები, აღარც ფრანცუზები დასეირნებდნენ ნავებით ფრინველების დასახოცათ, რომელსაც ევროპაში ჰყიდდნენ და მდიდრებოდნენ.

ერთის სიტყვით, ამას ზღვის-პირ ქალაქობა აღარ ეტყობოდა.

ყაზარმული სიცოცხლე კი ძრიელ იყო: სალდათების მოძრაობა, კეტებით სიარული ძაღლების დასახოცათ... ძრიელ აღელვებდა თათრებს ამნაირად ქუჩაში კეტებით ძაღლების ხოცვა... იძახდნენ, ერთ თათრის ქალაქში არ ნახავ, რომ ასე ულმერთოთ ხოცავდნენო, იქ დაივლისო ხოლმე პირუტყვების აქიმი ქუჩა-ქუჩა და ხორცისგან გაკეთებული საწამლავით აბები აქვს, რომელსაც აყლაპავს და ისე იხოცებიან, რომ არც ძაღლი წვალობს, არც კაცი ზიზღობს.

ბათუმის გარშემო მაღლობებზე ჯარის კარავები თეთრად ისე გამწკრივებული იყო, რომ თითქო მოლლები ადგია თავსაო და გავლილ დროს დაჰგლოვენო. ამ ქუჩებში დასეირნებაში შემხვდა ჩვენი ზურნაჩი ამერიკელი ბეთანელი; უნდოდა პირი მოერიდა, თითქო ჩემთან იყოს პირშევათაო, რომ თავის მეზურნებით ისე თავი შეირცხვინა ან და თითქო ჩემი ფული გაეფლანგოსო თავის „რუსთა-ამერიკის ვაჭრობაში“. მაგრამ მე ისე შევაჩერდი, რომ მაშინვე გამომემცნაურა. ზოგიერთი გამოკითხვიდგან შევიტყე, რომ ეს აღარ დაბრუნდება ამერიკაში და აქ სამსახურის შოვნას აპირებს.

საკვირველია მართლა: ვინც თოკიდგან გაქცეულია, აქ მოსულან, ზოგი სამსახურს ეძებს, ზოგი ფოდრადს. ამათ ჰგონიათ, თითქო ჩვენი მთავრობა ისე გამოუცდელი იყოს ან ისე უჭირდეს პატიოსან კაცების შოვნა, რომ ამისთანა ახალ დაცულ ადგილებში თავიდგან ხელ-ალებული ხალხი დანიშნოს და თავი შეირცხვინოს..

მეტად ამ მხარეს არის საჭირო მთავრობისაგან გამჭრიახობის გამოჩენა, რომ ამ ხალხის გული სამუდამოთ დაიერთგულოს და დაიმკვიდროს. მე ვთქვი მეტად ამ მხარეს, მისთვის, პირველი, რომ აქაური ხალხი ჩაგონებულია ჩვენი მთა-

*) „დროება“, № 228.

რი ბრძნების საზოგადოება, თუ ეს ზემოხსენებული მოწოდება იქმნება გადაბეჭდილი სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაც.

გ. ზ—ძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

გაზეთს „ტაიმსში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა ბერლინიდამ მიღებული:

„ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს მოლაპარაკება აქვთ ამ ჟამად იმაზედ, რომ ბერლინის ტრაქტატი ბეჯითად იქმნეს შესრულებული. ამ განზრახვით უნდათ, რომ ყველა იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ხსენებულ ტრაქტატს მოაწერეს ხელი, გაგზავნონ თავის ჯარები ოსმალეთის აჯანყებულ პროვინციებში და დაამშვიდობონ ხალხი. ამ ნაირის საშუალებით იმედი აქვთ, ერთის მხრით, რომ ეს პროვინციები ოსმალოს ჯარისაგან აღარ იქნება აკლებული და მეორეს მხრით, რომ არც ინგლისსა და არც რუსეთს აღარ მიეცემა უპირატესობა ოსმალეთში."

— ვენიდამ იწერებიან, რომ გრაფ შუვალოვმა დაარწმუნა ავსტრიის იმპერატორი, რომ რუსეთი არ ცდილობსო, რომ ოსმალოს ბოლგარია შეუერთოს განთავისუფლებულ ბოლგარიასა და არც საზოგადოთ ბერლინის ტრაქტატს დაარღვევს, თუ სხვა სახელმწიფოები ბეჯითად აასრულებენო.

— ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი დეპეშა, რომელიც გვაცნობებდა, რომ ღენ. სკობელევმა შეატყობინა სტამბოლის მახლობლად, ლულებურგასთან გაჩერებულ ოსმალოს ჯარის უფროსებსაო, რომ, ტოტლებენის ბრძანებით, ზალერამდინ უნდა გამოვწიო წინ ჩემი ჯარებიო. ოსმალოს არმიის მთავარ სარდალს, ამ ცნობის მიღების შემდეგ, განკარგულება გაუცია, რომ იმ ადგილებში გაჩერებულ ოსმალოს ჯარმა რუსებს დაუთმოს ალაგი და თვითონ უკან დაიწიოს, მხოლოთ ზალერი კი არ დაუთმოს რუსის ჯარს. ამასთანავე ოსმალოებს იქ ორი ბრიგადა ახალი ჯარები მიუყვანიათ.

## რუსეთი

გრაფ შუვალოვის ვენაში მისვლის თაობაზედ და საზოგადოთ ამის მოგზაურობის მიზანზედ აი რას იწერებიან „ვენის ტაგბლატ'ში":

„გრაფ შუვალოვს რუსის მმართებლობისაგან მინდობილი მაგდენი არაფერი საქმე არა აქვს ვენაში გასარიგებელი. უმთავრესი იმის მოგზაურობის მიზანი არის ბერლინი და ლონდონი. საქმე იმაშია, რომ რუსეთს ჰსურს ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები დათანხმდნენ ბერლინის ტრაქტატის გადახედვაზე. რუსეთს არ ჰსურს, რომ ბალკანის მთების გზები ოსმალეთის ხელში დარჩეს; ამის გამო გრ. შუვალოვმა უნდა იშუამდგომლოს, რომ ამ გზების დაცვა აღმოსავლეთ რუმელიის (სამხრეთ ბულგარიის) მილიციონერებს ჰქონდეს მინდობილი.

„ამას გარდა გრაფ შუვალოვმა უნდა ეცადოს, რომ მაკედონიას ავტონომია (შინაგან საქმეების გამგეობაში ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობა) მოენიჭოს, რადგან ამ ქვეყნის ხალხი ვეღარ მოითმენს ოსმალეთის უღელსაო და მუდამ რევოლიუციას და ღელვას უნდა მოველოდეთ მაკედონიაშიო.

„ამის სამაგიეროთ რუსეთი დაპირდება ინგლისს, რომ ავგანისტანის ემირთან მოარიგებს იმასდა დაიცავს აგრეთვე იმის ინტერესებს აღმოსავლეთში.

ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში რუსეთს თ. ბისმარკის დახმარების იმედი აქვსო, და ამ მიზნით გრ. შუვალოვი ვენიდამ ბერლინში და აქედამ ლონდონში წავაო.

—პეშტიდამ იწერებიან გაზ. „ბოლოსში", რომ რუსეთის ერთად-ერთი ნატვრა ამჟამად ის არისო, რომ ომი აღარ ატყდეს ხელ-მეორეთაო და გრ. შუვალოვის გაგზავნასაც [illegible] ლეებთან ის მიზანი აქვსო, რომ ყველა განხეთქილება მშვიდობიანათ გაათაოსო.

— იმ სახლის ასაშენებლად, რომელსაც ომში დაჭრილებისა და საზოგადოთ მოუძლურებულ სამხედრო პირების სადგომად აშენებენ პეტერბურღში, ამ ჟამად მოგროვილია სულ—180,000 მანეთი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ბომბეი**, 8 ნოემბერს. ქვეტის დივიზია ღენ. ბიდდერჩისა შევსებულია ჯარებითა და მზათ არის, რომ სალაშქროდ წავიდეს. ინგლისის ჯარებში ავათმყოფობა აღრინდელივით გახშირებული აღარ არის.

**ნეაპოლი**, 8 ნოემბერს. იტალიის კაროლის დაჭრის თაობაზე, პასსამენტოს გარდა, დაჭერილია კიდევ გაზეთის „Censeur"-ის რედაქტორი მატეო მელიტო, რომელიც 1870 წელსაც იყო რევოლიუციური პლანებისათვის დატუსაღებული.

**ფლორენცია**, 7 ნოემბერს. გუშინ საღამოს, როდესაც კოროლისათვის პატრიოტული დემონსტრაცია იყო, ამ დროს ხალხში გასქდა ორსინის ყუმბარა, რომლის აფეთქებამ ორი კაცი მოჰკლა და რამდენიმე დაკოდა.

**ლონდონი**, 9 ნოემბერს. ავგანისტანის ემირმა პასუხიც არ გასცა ინგლისს ულტიმატუმის თაობაზედ. ინგლისის სამინისტრომ გარდასწყვიტა, ტელეგრაფით აცნობოს საინგლისო ინდოეთის ვიცეკოროლს, რომ ახლავე გაგზავნოს ჯარები ავგანისტანის წინააღმდეგ.

---

ვრობის წინააღმდეგ და მეორე, რომ რჯულით სულ სხვანი არიან.

აქ ბევრმა მიამბეს, რომ მითომ ამათ გაეგზავნოსთ რამდენიმე სანდო პირნი შესატყობლად—თუ როგორი ადგილებია ოსმალოში ან და ცხოვრება როგორი ექნებათ, ვინიცობაა რომ გადასახლდნენ. მგონი, კარგი ამბები არ მოსდისთ მეტად იმ გადასახლებულებისაგან, რომელნიც რუსების ბათუმში შესვლამდის წავიდნენ. ეს კი უნდა გითხრათ, რომ ამ ხალხის წინა პირნი—ბეგები ძრიელ დაცემულნი ხალხნი არიან: ამათში ნამცეცი მამულის-მოყვარეობის გრძნობა არ არის; ამათ რომ თავიანთი ხალხი და ქვეყანა უყვარდესთ, ყოველის გზით ეცდებიან გაუქარწყლონ გადასვლის აზრები. ვინ არ იცის, რომ რაც უნდა კარგ მხარეს გადვიდეს ხალხი, მაინც ძრიელ ბევრი დაეზიანება: მინამ შეეჩვეოდეს მის ჰავას, მის წესებს, მინამ მოეწყობოდეს, ნახევარი თუ არა მესამედი მაინც გაწყდებიან და ამასთან არც თავისთვის იქნებიან გამოსადეგნი, არც იმ მხრისთვის, საიდაც გადასახლდნენ, გული ერთკენ ექნებათ, სული მეორესკენ და, რასაკვირველია, აქედგან კეთილი არა დაიბადება-რა...

ბათუმის გაუმჯობესობაზედ დიდი ფული არის დანიშნულიო, ბათუმის პორტი უნდა გაადიდონ, რომ მომატებული გემები დააყენონ მინემც ეხლა დგება. ამის გარდა უნდათ ჩოროხ-სუც გემებით სასიარულოთ გახადონ ვიდრე ართვინამდის. მაშინ, რასაკვირველია, ერთი-ორად სიცოცხლე მიემატება ბათუმს.

ჩემ იქ ყოფნაში ორი გამოჩენილი პირი იყო ბათუმში: ერთი ლუბასოვი, რომელმაც აფეთქა ოსმალოს სამხედრო გემი და რომელსაც ეხლა ერთი მისი ამხანაგი რაჟდესტვენსკი უმტკიცებს ამ გემის აფეთქის სიმტყუნეს: მეორე ადმირალი პაპოვი, ის პაპოვი, რომელმაც რაღაც ნაირი ხომალდი „პაპოვკა" გამოიგონა და ამ რამდონიმე წლის წინათ ინგლისის ზღვის საზოგადოებამ დაუწუნა; მაგრამ ეს დაწუნება მიაწერეს ინგლისელების სიმშურვეს; ამ უკანასკნელ ომიანობამ კი დაუმტკიცათ, რომ ანგლისელებს სიმშურით არ გამოუთქვამთ „პაპოვკის" წინააღმდეგი აზრი. ამ პაპოვკების შეწყნარებამ და გაკეთებამ ისე რუსეთი ზღვაზე არ გაამდიდრა, როგორც პაპოვის ჯიბე გამდიდრდა. ბევრნი ამბობენ, რომ „პაპოვკები" ზღვაში მაშინ ივლიან თამამად, როცა ქათამი შეეჩვევა წყალში ცურვასაო...

სტ. მ—ლი

პეტერბურღის ბირჟა, 10 ნოემბერს.

(ხელმწიფო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97 | 12 |
| მეორესი — — — — | 95 | 50 |
| მესამესი — — — — | 95 | 38 |
| მეოთხესი — — — — | 95 | 50 |
| აღმოსავლეთის — — | 92 | „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 8 | 37 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „ | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 234 | 25 |
| მეორე სესხის — — — | 228 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 23 | 25 | პენსი |
| ამსტერდამი — | 119 | „ | ცენტი |
| ბერლინი — — | 200 | 75 | პფენიგი |
| პარიჟი — — | 246 | „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „ | „ | — |

# განცხადებანი

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანტ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ზრიკულოვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ძოწენიძის დუქანში.

ფასი ორი შაური. ორს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

(2—1)

### ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის ნოემბრის 15-ს, იმის თან-დასწრებით, იქნება ვაჭრობა (ტორგი) მომავალი 1879 წლისათვის 280 საჟენისა 1 არშინისა და 5 ვერშოკის სამ-ნაპობიანის შეშის მოტანაზედ მეტეხის, ქალაქის საპყრობილისა, უმთავრესი საპყრობილისა თავის კარცერებით და ჟანდარმის გამგეობისათვის თავის ცხენოსან ჟანდარმების კამანდით.

(3—1)

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვაჭრობის უფლებისათვის მომავალი 1879 წლისათვის ქალაქის სასარგებლოდ ფულების შეტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში (შპრავაში) ამ ნოემბრის პირველიდამ დილის 9½ საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდინ. ხაზინისათვის ფულის მოგროვება და სავაჭრო დოკუმენტების მიღება შეიძლება თფილისის გუბერნიის კაზნაჩეისტვოში (ხაზინაში).

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია ზრიკულოვის კავკასიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები თქმული გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება—[illegible] ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ [illegible]სა. ფასი 10 კაპ.

(5—3)

გამოვიდა და ისყიდება თფილისში ვართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დიდანი მგრგვალის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდამ გადმოწერისათვის მგრგვალის ხელით; 3 ანბანის დიდანი ნუსხურის ხელისა და 4 დიდანი (იგივე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები — რა უმთავრესის საფუძვლით ებმის ასოების ერთმანერთს გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **წიგნი სიბრძნე სიცრუისა** თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური

**თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები.** სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვ, ოდესას, მოსკოვ | 2 | — |
| პეტერბურღ, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნი . . . . . . . . . | 4 |
| დახურულის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 ნოემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯ. სა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წ. თელი . . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა მერვ ისა, ფუთი . | 6 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 30 |
| ბაპენტილი ბ მბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 6 | 60 |

### „დროების“ ფოშტა

— შ—ში, ა. გ—ს. თუ მოგვწერთ, რომ პასუხს აგებთ ვინიცობაა, რომ იჩივლოს იმ პირმა, რომელზედაც იწერებით, მაშინ შეიძლება თქვენი კორრესპონდენციის დაბეჭდვა. თორემ, როგორც ვატყობთ, თქვენ იმ პირის რაღაც კერძო მტერობა გაქვთ.

— ქ—ში, უ. ხ—ს. სამი უკანასკნელი თქვენი სტატეია, ნუ გეწყინებათ და რაღაც უმნიშვნელო სიტყვების რახა-რუხი და უბედობაა. არც ერთი არ დაიბეჭდება.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Ноября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.